ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2.9.19/10/100

ქ. თბილისი 01 ნოემბერი 2013 წელი

ერთის მხრივ ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობა, მდებარე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №48 (შემდგომში „შემსყიდველი"), რაიონის გამგებლის – ნიკანორ მელიას სახით და, მეორეს მხრივ, შპს „ლაგო", ს/კ 424611441, მისამართი: ქ. ახმეტა, ერისთავის ქ. №3, დირექტორის – გოჩა გოჩიაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი და ქ. თბილისის მერიის თანხმობა №10-15/13294429 21.10.13წ.) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტია: **ქ.თბილისში, ვ. აბაშიძის ქ. №7-ში მდებარე დეფორმირებული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების (წინმსწრებ-დამზღვევი ღონისძიებები) სამუშაოები (CPV45200000).**

1.2. შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი, მოცულობები და ერთეულის ფასები მოცემულია ხელშეკრულების დანართში.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს – **46822,40** (ორმოცდაექვსიათას რვაასოცდაორი ლარი 40 თეთრი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა **2013 წლის 16 დეკემბერი**.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: **ქ. თბილისში, ვ. აბაშიძის ქ. №7.**

3.3. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ითვლება ორმხრივ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაშია 2014 წლის 31 იანვრამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, იგი უფლებამოსილია საგარანტიო პერიოდში მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მესამე პირის დაზიანებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს".

5.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად შემსყიდველს წარედგინება შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა №2) და ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში. სამუშაოები უნდა ჩატარდეს იმ გარანტიით, რომ შესყიდვის ობიექტი სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტებს მისი მიღებიდან **2 წლის** განმავლობაში.

6.2. შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.

6.3. „შემსყიდველი" ვალდებულია საგარანტიო პერიოდში წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს" ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.4. შეტყობინების მიღების შემდეგ „მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.5. თუ „მიმწოდებელი" ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „შემსყიდველს" უფლება აქვს „მიმწოდებლის" ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

7.3. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.

7.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.4. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7.5 იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებს ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი" უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

7.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

- გადასცეს მიმწოდებელს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოების შესახებ;
- მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 60 დღის ვადის გასვლის შემდეგ მისი დაუფინანსებლობის შემთხვევაში აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" ის შესაძლო საჯარიმო სანქციები, რაც დაერიცხება მას არსებული საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად.

8.2. „შესყიდველს" უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- წარმოქმნილი აუცილებლობის შემთხვევაში დააზუსტოს შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო ღირებულების ფარგლებში;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- დააკმაყოფილოს „შემსყიდველის" მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული სამუშაოს შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2 პროცენტის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებლის“ მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 პროცენტს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით;

9.4. თუ შესრულებული სამუშაოს ხარისხი არ შეესაბამება მოთხოვნას, „მიმწოდებელი“ ვალდებულია უსასყიდლოდ მოახდინოს ნაკლის გამოსწორება 5.2. და 5.3. პუნქტებით გათვალისწინებული წესით. თუ იგივე ფაქტი განმეორდება, „მიმწოდებელს“ ნაკლის გამოსწორებასთან ერთად ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5 პროცენტის ოდენობით. მესამედ იგივე შემთხვევა იწვევს „მიმწოდებელის“ დაჯარიმებას ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2 პროცენტის ოდენობით და „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და უარი განაცხადოს სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე.

10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

10.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულების შესრულების გარანტია არ გამოიყენება.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა;

11.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

15.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

15.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თანამშრომელთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: გამგებლის მოადგილე – ბესარიონ ჯიმშელაძე, ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი – ლევან სოხაძე, ინფრასტრუქტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტები – რობინზონ ქინქლაძე, ზაზა ტურძილაძე და ნიკოლოზ ქეშელაშვილი.

15.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.

15.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

16.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

16.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის
გამგეობა ს/კოდი: 204521954
მის: ძმ. ზუბალაშვილების ქ. №48
სს „ლიბერთი ბანკი“ ცენტრ. ფილიალი
ა/ა № GE95LB0125152101627000
ბანკის კოდი LBRTGE22

ნიკანორ მელია

„მიმწოდებელი“

შპს „ლაგო“, ს/კ 424611441,
მისამართი: ქ. ახმეტა, ერისთავის ქ. №3,
სს „ ლიბერთი ბანკი“,
ა/ა №GE03LB 0113 1714 5159 2000
ბ/კოდი LBRTGE22

გოჩა გოჩიაშვილი

№2.9.19/10/100 ხელშეკრულების
დანართი

ქ.თბილისში, ვ. აბაშიძის ქ. №7-ში მდებარე
დეფორმირებული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების
(წინმსწრებ-დამზღვევი ღონისძიებები) სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოთა ჩამონათვალი	განზ.	რაოდ	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი		მთლიანი ღირებულება (ლარი)
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ხელსაბანის და უნიტაზის დემონტაჟი	ც	2,00			6,00	12,00			12,00
2	ხის კონსტრუქციების (ტიხრების) დემონტაჟი და გამოტანა 20მ-ზე მეტ მანძილზე ხელით	მ2	42,50			18,00	765,00			765,00
3	ხის იატაკის და კოჭების დაშლა (დემონტაჟი) და გატანა 20მ-ზე მეტ მანძილზე ხელით	მ2	28,70			18,00	516,60			516,60
4	ბეტონის იატაკის დაშლა ხელით	მ3	5,74			25,00	143,50	12,0	68,88	212,38
5	კედლების გასუფთავება ძველი ნალესისგან	მ2	48,20			2,50	120,50			120,50
6	დაზიანებული კედლის დაშლა და ნარჩენების გამოტანა 20მ-ზე მეტ მანძილზე	მ3	4,20			35,00	147,00			147,00
7	ხის ფანჯრებისა და კარის ბლოკის დემონტაჟი და გატანა	ც	4,00			12,00	48,00			48,00
8	ავარიული თაღის და კედლის დროებითი გამაგრება	მ2	3,00			25,00	75,00			75,00
9	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით	მ3	15,70			25,00	392,50			392,50
10	გრუნტის გატანა ხელით 30-მდე მანძილზე და დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე15 ,7X1,28	მ3	29,73			25,00	743,25			743,25
11	სამშენებლო ნაგვის და გრუნტის გატანა 20კმ-მდე მანძილზე ავტოთვითმცლელებით (15,7X1,8)	ტ	41,81					10,0	418,10	418,10
	II. სართულშუა გადახურვის და ღიობის გამაგრება ლითონის კონსტრუქციებით									
1	სართულშუა გადახურვის და ღიობის გამაგრება ლითონის კონსტრუქციებით	ტ	1,29			800,00	1032,0			1032,00

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
2	შველერი	ტ	0,85	1650,0	1402,50			30,0	25,50	1428,00
3	კუთხოვანა	ტ	0,27	1650,00	445,50			30,0	8,10	453,60
4	ზოლოვანა	ტ	0,09	1650,00	148,50			30,0	2,70	151,20
5	ლითონის ფურცელი	ტ	0,08	1650,00	132,00			30,0	2,40	134,40
6	რკინის კონსტრუქციის შედებვა ანტიკოროზიული საღებავით	ტ	1,29	80,00	103,20	8,00	10,32			113,52
7	ღორღის 10სმ ფენის მოწყობა დატკეპნით	მ3	4,25	15,00	63,75	10,00	42,50	10,0	42,50	148,75
8	ლითონის დგარებისთვის ბეტონის საძირკვლების მოწყობა	მ3	1,50	170,00	255,00	62,00	93,00	15,0	22,50	370,50
9	რკინა-ბეტონის იატაკის მოწყობა	მ3	4,30	170,00	731,00	62,00	266,6	15,0	64,50	1062,10
10	არმატურა	ტ	0,42	1200,00	504,00			30,0	12,60	516,60
11	კედლის ამოშენება ბლოკით	მ3	4,83	79,50	383,99	40,50	195,62			579,60
	III. კედლებზე ჯავშან-პერანგის მოწყობა									
1	კედლებში ხვრელების მოწყობა	ც	384,0			1,50	576,00	0,50	192,00	768,00
2	ბურღილებში ანკერების ჩაცემენტება	ც	384,0	0,50	192,00	1,50	576,00			768,00
3	არმატურის (ა-III) კარკასის მოწყობა	ტ	0,35	1200,00	420,00	800,00	280,00	30,0	10,50	710,50
4	კედლების შებათქაშება მსხვილფრაქციული ქვიშა-ცემენტის ხსნარით	მ2	48,20	5,20	250,64	6,00	289,20	1,50	72,30	612,14
5	კედლების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	მ2	48,20	4,00	192,80	8,00	385,60	1,50	72,30	650,70
6	ხელსაბანის და უნიტაზის დაერთების წერტილების მოწყობა	ც	2,00			30,00	60,00			60,00
7	პლასტმასის მილი დ-100	მ	2,00	6,20	12,40					12,40
8	პლასტმასის მილი დ-50	მ	5,00	2,90	14,50					14,50
9	პლასტმასის მილის ფიტინგი (მუხლი) დ-100	ც	3,00	2,05	6,15					6,15
10	პლასტმასის მილი ფიტინგი (მუხლი) დ-50	ც	3,00	0,85	2,55					2,55
11	ელ.გაყვანილობის მოწყობა	წ	7,00	16,00	112,00	10,00	70,00			182,00
	IV. ფასადზე ფანჯრის ღიობების და აივნის გამაგრების და კედლის მოჯავშნის სამუშაოები									
1	ხარაჩოების მოწყობა და შემდგომში დაშლა	მ2	64,00	11,00	704,00	4,00	256,00	5,00	320,00	1280,00
2	კედლების გასუფთავება ძველი ნალესისგან	მ2	106,0			2,50	265,00			265,00
3	საწვიმარი მილის დემონტაჟი და მონტაჟი	მ	20,00			5,00	100,00			100,00
4	ხის ფანჯრის და კარის ბლოკების დემონტაჟი	ც	4,00			12,00	48,00	10,0	40,00	88,00

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
5	ფანჯრის და კარის ღიობის მოჩარჩოება	ტ	1,34			800,00	1072,0			1072,00
6	კუთხოვანა	ტ	1,02	1650,00	1683,00			30,0	30,60	1713,60
7	ზოლოვანა	ტ	0,25	1650,00	412,50			30,0	7,50	420,00
8	ლითონის ფურცელი	ტ	0,07	1650,00	115,50			30,0	2,10	117,60
9	ხის კარის და ფანჯრის მონტაჟი	მ2	10,71	95,00	1017,45	35,00	374,85	10,0	107,10	1499,40
10	კედლებში ხვრელების მოწყობა	ც	848,0			1,50	1272,0	0,50	424,00	1696,00
11	ბურღილებში ანკერების ჩაცემენტება	ც	848,0	0,50	424,00	1,50	1272,0			1696,00
12	არმატურის კარკასის მოწყობა	ტ	1,10			800,00	880,00			880,00
13	არმატურა ა-III	ტ	1,10	1200,00	1320,00			30,0	33,00	1353,00
14	კედლების შებათქაშება მსხვილფრაქციული ქვიშა-ცემენტის ხსნარით	მ2	106,0	5,20	551,20	6,00	636,00	1,50	159,00	1346,20
15	კედლის შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	მ2	53,00	4,00	212,00	8,00	424,0	1,50	79,50	715,50
16	კედლების მხატვრული შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	მ2	53,00	5,00	265,00	70,00	3710,0	1,50	79,50	4054,50
17	კედელზე თუნუქის წყალსარინელის დემონტაჟი და ახლის მოწყობა	მ	36,00	10,00	360,00	6,00	216,00			576,00
18	სამშენებლო ნაგვის გამოტანა და ხელით დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ3	7,50			25,00	187,50			187,50
19	სამშენებლო ნაგავის გატანა ავტო თვითმცლელებით 20 კმ მანძილზე და გატანა	ტ	14,00					10,0	140,00	140,00
	ჯამი									**32427,84**
	გაუთვალისწინებელი 3%									972,84
	ჯამი									**33400,68**
	ზედნადები ხარჯები 10%									3340,07
	ჯამი									**36740,74**
	მოგება 8%									2939,26
	ჯამი									**39680,00**
	დ ღ გ 18%									7142,40
	ს უ ლ ჯ ა მ ი									**46822,40**

„შემსყიდველი“

ნიკანორ მელია

„მიმწოდებელი“

გოჩა გოჩიაშვილი